სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №81
2026 წლის 20 იანვარი

ქ. თბილისი

„შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 30 დეკემბრის №78 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 30 დეკემბრის №78 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 31.12.2025, 040170050.57.069.016226) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბაზრის კვლევის განხორციელების წესის“:

ა) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კონკრეტული შესყიდვის ობიექტის ღირებულება ნაკლებია 10 000 (ათი ათასი) ლარზე;“;

ბ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-9 მუხლის:

გ.ა) პირველი პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. თუ ბაზრის კვლევის შედეგად ვერ კმაყოფილდება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სათანადო დასაბუთების არსებობისას ბაზრის კვლევა აგრეთვე ჩაითვლება შედეგიანად დასრულებულად.”;

გ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სატენდერო პირობების დამტკიცების შესახებ ოქმში, ბაზრის კვლევაში მონაწილე პოტენციურ მიმწოდებელთა იდენტიფიცირების გარეშე:

ა) ასახოს ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ხორციელდება კონკრეტული შესყიდვა;

ბ) გაითვალისწინოს სათანადო დასაბუთება იმ კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით, რამაც გამოიწვია შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის მხოლოდ 1 (ერთი) პოტენციური მიმწოდებლის მიერ დაკმაყოფილება – ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“;

გ.გ) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ამ მუხლის 1^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შეადგინოს წერილობითი დოკუმენტი (ოქმი, მოხსენებითი ბარათი ან სხვ.) იმ კონკრეტულ გარემოებებზე მითითებით, რამაც გამოიწვია შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის მხოლოდ 1 (ერთი) პოტენციური მიმწოდებლის მიერ დაკმაყოფილება. აღნიშნული დოკუმენტი იტვირთება სისტემის „CMR“ მოდულში, ხელშეკრულების რეგისტრაციასთან ერთად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე